



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 109/ს
25/05/2022

109-21-4-202205250924



ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ. №15-ში სს „საქკაბელის“ ელასტიკური ნივთიერებების წარმოებისა და დამუშავების (ელექტროსადენებისა და ელასტიკური ნივთიერებების - პოლივინილქლორიდის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „საქკაბელის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ. №15-ში, ელასტიკური ნივთიერებების წარმოებისა და დამუშავების (ელექტროსადენებისა და ელასტიკური ნივთიერებების - პოლივინილქლორიდის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2017 წელის 15 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ. №15-ში სს „საქკაბელის“ ელასტიკური ნივთიერებების წარმოებისა და დამუშავების საწარმოს (ელექტროსადენებისა და ელასტიკური ნივთიერებების - პოლივინილქლორიდის წარმოება) ექსპლუატაციაზე გაცემულია №10 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ბრძანება №ი-66). აღნიშნულის საფუძველზე, 2021 წლის 11 იანვარს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-18).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში განხორციელდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, კერძოდ, პოლივინილქლორიდის წარმოების უბანი აღიჭურვა გამწოვი ვენტილაციითა და მტვერდამჭერით, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული არ ყოფილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომი რეაგირების მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტი განთავსებულია სს „საქკაბელის“ საკუთრებაში არსებულ 45 259 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 32.10.33.398). საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 380 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ყვირილა, მიედინება 600 მეტრში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოში ხორციელდება სპილენძისა და ალუმინის, როგორც მაღალი, ისე დაბალი სიმძლავრის, ელექტროკაბელებისა და სადენების დამზადება, რისთვისაც ობიექტზე განთავსებულია ძირითადი საამქრო, სადაც ხდება სპილენძის ადიდვა, შეგრება და სპილენძისა და ალუმინის დენგამტარი ძარღვების პოლივინილქლორიდისა და პოლიეთილენის იზოლაციის ფენით დაფარვა. ობიექტზე ასევე მოწყობილია ალუმინის ადიდვისა და გატყავების, თვითმზიდი სადენებისა და პოლივინილქლორიდის წარმოების, ლითონისა და ხის დამუშავების უბნები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ობიექტზე ელექტროსადენების წარმოება მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს სპილენძის პირველად დამუშავებას უხეში ამდიდავი დანადგარით (BCK-13), სადაც ხდება 8 მმ-იანი მავთულის ადიდვა 1.7 მმ-მდე და შემდგომ მათი დახვევა დოლებზე, ხოლო მეორე ეტაპი - სპილენძისა და ალუმინის დენგამტარი ძარღვების პოლივინილქლორიდისა და პოლიეთილენის იზოლაციის ფენით დაფარვას. საწარმოში ნედლეულის სახით გამოიყენება: სპილენძის გლინულები (626 ტ/წელ), ალუმინის გლინულები (1170 ტ/წელ), პოლიეთილენის გრანულები (741 ტ/წელ) და პოლივინილქლორიდის გრანულები (1456 ტ/წელ). სპილენძის და ალუმინის გლინულებით, ასევე, პოლიეთილენის გრანულებით საწარმო მარაგდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო პოლივინილქლორიდის გრანულები მზადდება ადგილზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პოლივინილქლორიდის დასამზადებლად დანადგარში იყრება PVC (K-70) პუდრი (100 კგ), ცარცი (70 კგ), სტაბილიზატორი (4 კგ ფხვნილი) და სტეარინის მჟავა (Stearic Acid - 0,8 კგ ფხვნილი). აღნიშნული ფხვიერი ნაერთი, ჭიახრახნული მიმწოდებლის საშუალებით, გადადის შემრევში, სადაც ემატება თხევადი მასალები, კერძოდ, DOP (40 კგ ზეთი), პარაფინი (5 კგ) და სოიას ზეთი (5 კგ). შერეული მასა ხურდება 95⁰ C-მდე და ჭიახრახნული მიმწოდებლის მეშვეობით მიეწოდება ვიბრაციულ ხვიმირას. აღნიშნული დანადგარიდან შერეული მასა გადაინაცვლებს ძირითად წნეხში, სადაც იზილება 150-170⁰ C ტემპერატურაზე და შემდგომ გადადის დამხმარე წნეხში. საბოლოოდ, შეზეილილი მასა მიეწოდება გრანულატორს, მიიღებს სასურველ ფორმასა და ზომას. გრანულებად ფორმირების შემდგომ, ვაკუუმ ტუმბოს მეშვეობით, მიეწოდება გამაგრებელ ციკლონური ტიპის აგრეგატს. გაგრელებული პოლივინილქლორიდის გრანულები იყრება ლენტური ტიპის კონვეიერზე და ინახება მზა პროდუქციის კონტეინერში. საბოლოო პროდუქცია ტრანსპორტირდება ძირითად საამქროში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოში განთავსებულია შემდეგი დანადგარ-მექანიზმები: 2 ცალი ორთქლწარმოქმნის დანადგარი, 9 ცალი სპილენძის ამდიდავი დანადგარი (BCK13, UDZWG-40/22,ZLWG, DXLGF125, SAMP), 1 ცალი ალუმინის

გამოწვის ღუმელი, 2 ცალი სპილენძის გამოწვის ღუმელი (OKB), 3 ცალი კაბელის გადამხვევი დანადგარი, 3 ცალი კაბელის დასაჭრელი დანადგარი, 11 ცალი შემგრები დანადგარი (DTB1250, DSO-40AE, DSO-63GT, DSO-125, MKRD 18X500, MKRT 6X870), 2 ცალი ჰაერის კომპრესორი (2BM25-12/9), 3 ცალი სახარატო ჩარხი (1M63, 162), 1 ცალი საბურღი დანადგარი (2H-150), 1 ცალი რკალური შედუღების აპარატი, 1 ცალი კაბელთა გამოცდის უბანი და 6 ცალი საექსტრუზიო ხაზი (E90,E60).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დანადგარ-მექანიზმების გარდა ობიექტზე დაგეგმილია 3 ცალი საექსტრუზიო დანადგარის (E-120 - წარმადობა 1100კგ/სთ; E-90 - წარმადობა 600 კგ/სთ; E-45 - წარმადობა 100 კგ/სთ), 1 ცალი მიკალენტის დამდები აპარატის, 1 ცალი შიშველი ალუმინისა და სპილენძის მავთულების შემგრები დანადგარის (DT-2000) დამატება. საწარმოს ტერიტორიაზე, ტექნიკური ჩამდინარე წყლის ჩაშვების მიზნით, ასევე გათვალისწინებულია 3 ცალი ბეტონისკედლებიანი ორმოს მოწყობა. ობიექტის სამუშაო რეჟიმი, საწარმოო ტექნოლოგია და წარმადობა რჩება უცვლელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ობიექტზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას, რომელთა რაოდენობა გაიზრდება უმნიშვნელოდ, ხოლო, ვინაიდან, პოლივინილქლორიდის დამზადების უბანი აღიჭურვა გამწოვი ვენტილაციითა და მტვერდამჭერით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული პოლიმერული მტვრის რაოდენობა შემცირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დანადგარ-მექანიზმები განთავსებულია დახურულ, კაპიტალურ შენობაში, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტის მიმართულებით არსებული შენობა-ნაგებობები წარმოადგენს ბუნებრივ ბარიერს, რაც ამცირებს ხმაურის გავრცელებას, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დასაშვები დონეების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისათვის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღება ხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო ტექნიკური დანიშნულებით (გაციების სისტემა) - ობიექტის ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული ჭიდან. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ქ. ზესტაფონის საკანალიზაციო სისტემაში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო ტექნიკური ჩამდინარე წყალი, ობიექტის ტერიტორიაზე არსებული შიდა არხების საშუალებით, ჩაედინება ბეტონისკედლიან ორმოში. როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია დამატებითი სამი ორმოს მოწყობა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება შენობის გარეთ, შესაბამის კონტეინერებში და მათი გატანა ხორციელდება ქ. ზესტაფონის მუნიციპალური სამსახურის მიერ. სახიფათო ნარჩენები დროებით თავსდება სპეციალურად გამოყოფილ რკინის კონტეინერში და ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების შედეგად, ობიექტზე არ მოხდება ნარჩენების ახალი სახეობების წარმოქმნა და ნარჩენების რაოდენობის გაზრდა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია „წითელი ნუსხის“ სახეობები. საქმიანობა ხორციელდება არსებულ, კაპიტალურ შენობაში. საპროექტო ტერიტორიის სავალი ნაწილები მოხეტონებულია, ხოლო თავისუფალი ტერიტორიები გამწვანებულია. დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მიწის სამუშაოების განხორციელებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ. №15-ში სს „საქკაბელის“ ელასტიკური ნივთიერებების წარმოებისა და დამუშავების (ელექტროსადენებისა და ელასტიკური ნივთიერებების - პოლივინილქლორიდის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „საქკაბელი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 11 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. სს „საქკაბელისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 11 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
4. სს „საქკაბელი“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით,

უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;

5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქკაბელს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქკაბელის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო